

ტანვარჯიშში სსრ კავშირის პირველობაზე ყაზახეთის გუნდის წარმომადგენელმა ი. ცაპენკომ სამ იარაღზე მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება.

სურათზე: ი. ცაპენკო ასრულებს ვარჯიშს ორძელზე.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

„გამარჯვება", „კოლხიდა", „ფეიქარი"

როგორც ცნობილია, გასულ წელს საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში განსაკუთრებული წარმატებების მქონე საწარმოებისათვის სპორტული კლუბის შექმნის უფლების მინიჭების შესახებ და ამასთან დაკავშირებით დაამტკიცა სპეციალური დებულება, რომელიც საგანგებო მოთხოვნებს უყენებს ასეთ საწარმოებს.

ჩვენს რესპუბლიკაში ეს საპატიო წოდება, საბჭოთა კავშირის რამდენიმე საწარმოსთან ერთად, პირველად მოიპოვა ს. მ. კიროვის სახელობის თბილისის ჩარხსაშენი ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა, რომელსაც ეწოდა სპორტკლუბი „გამარჯვება".

ახლახან მოვიდა სასიხარულო ცნობა: „გამარჯვების" მხარში ამოუდგა საქართველოს კიდევ ორი სპორტკლუბი — „კოლხიდა" და „ფეიქარი". პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმმა ამ დღეებში სპორტული კლუბის წოდება მიანიჭა საბჭოთა კავშირის ორ ფიზკულტურულ კოლექტივს, რომელთა შორის არის ჩვენი რესპუბლიკის ორი საწარმოც: ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა („კოლხიდა") და თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი („ფეიქარი").

ამიერიდან საბჭოთა კავშირში არსებობს 35 სპორტული კლუბი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

25 ნოემბერი შაბათი, 1961 წ.

№ 191 (1827)

გამოცემის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

ბ. სპასკი კვლავ წინაა

ბაქო. (ტელეფონით). 24 ნოემბერი. დღეს XXIX ჩემპიონატის მონაწილენი ისვენებდნენ, გუშინ მოეწყო განვლილ ხუთ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება.

2-2 დამარცხება განიცადეს ტაიმანოვმა და ბაგიროვმა, ახალგაზრდა ხარკოველმა ოსტატმა სავონმა, რომელიც პირველად მონაწილეობს ჩემპიონატში, ჩინებულად გამოიყენა მცირე უპირატესობა და პირველი დამარცხება მიაყენა ტაიმანოვს, მეორე პარტია ტაიმანოვმა წააგო აგრეთვე ჩემპიონატის ახალბედა მონაწილე დონეცკელ ოსტატ კოცთან. ბაგიროვის შეუპოვარი დაცვა აევერბახთან ამაო გამოდგა. გროსმაისტერმა პარტია მოგებამდე მიიყვანა. არც შიანოვსკიმ „დაინდო" მასპინძელი, და ოსტატურად მოახდინა უპირატესობის რეალიზება.

კერესს ორი პაიკი აკლდა სპასკისთან, მაგრამ აქტიური პოზიცია ჰქონდა, ამის გამო სპასკიმ ვერასგზით ვერ გამოიყენა თავისი უპირატესობა. 68-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ, დიდი შეუპოვრობით იბრძოდა გურგენიძე სმისლოვთან. მან უვნებელჰყო გროსმაისტერის პოზიციის უპირატესობანი და პარტია ყაიმით დაამთავრა. აგრეთვე ყაიმით დასრულდა გიპსლის-ხასინის, გიპსლის-ვლადიმიროვის, შიანოვსკი-ვასიუკოვისა და პოლუგაევსკი-ლეინის პარტიები. კვლავ დაუმთავრებელი დარჩა ხასინ-სავონის პარტია.

V ტურის შემდეგ ბ. სპასკის 4,5 ქულა აქვს, რ. ხოლმოვს — 4 ქულა, ვ. სმისლოვს, ი. აევერბახს, ლ. შამკოვიჩს — 3,5 ქულა თვითეულს, ა. ხასინს — 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

25 ნოემბერს გაიმართება VI ტური.

„ქართველმა გოგონამ გაგვაოცა"

ვრნიაჩკა-ბანია (ტელეფონით), 24 ნოემბერი. გუშინ დილით ყველა მონაწილე ინტერესით კითხულობდა გაზეთ „პოლიტიკაში" სტატიას — „ნ. გაფრინდაშვილმა მატჩზე გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონი ე. ბიკოვა". წერილი ძირითადად შეეხებოდა ნონა გაფრინდაშვილის თამაშს პრეტენდენტთა ტურნირში.

„შავგვრემანმა ქართველმა გოგონამ გაგვაოცა ბრწყინვალე თამაშით, — ნათქვამია გაზეთის სპორტული მიმომხილველის წერილში. — მისი გამარჯვება სავსებით დამსახურებულია. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნ. გაფრინდაშვილს არც ერთი პარტია არ წაუგია, ხოლო მოიგო ყველაზე მეტი. ჭადრაკის გამოჩენილი სპეციალისტების შეხედულებით, ნ. გაფრინდაშვილის თამაში ძალზე მოგვაგონებს მსოფლიო ჩემპიონ ვ. მენჩიკს. რაკი ნიჭიერი პრეტენდენტი ახლა შლის არწივის ფრთებს, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი კიდევ ბევრჯერ გაახარებს სამშობლოს, მოჭადრაკეებს, ჭადრაკის თაყვანისმცემლებს ახალ-ახალი წარმატებებით".

ახლა ნ. გაფრინდაშვილი გაზეთების კორესპონდენტების და ფოტორეპორტიორების ალყაშია. გროსმაისტერი ს. გლიგორიჩი, რომელიც აქ განსაკუთრებული პატივით სარგებლობს, „ვეჩერნიე ნოვოსტი"-ს ნონასათვის მომზადებული თავისი 15 შეკითხვით.

სალამოს ყველა დავესწარით გადადებული პარტიების დამთავრებას. ზვორიკინამ კარგად მოუგო გრესერს, ხოლო ზატულოვსკაიამ — შოლე დე სილანს. ორი პარტია დაამთავრა ვოლპერტმა. მას გაუძნელდა ჰეემსკერკის წინააღმდეგ დასუსტებული პოზიციის გადარჩენა და დამარცხდა. სამაგიეროდ კონარკოვსკასთან პარტიაში ყაიმზე შეთანხმდა. ყაიმით დასრულდა აგრეთვე ლეინის შეხვედრები კარაკაშნესა და ნედელკოვიჩთან, ნიკოლაუსი — რინდერთან და ლაზარევიჩისა — ჰუნდსურენთან.

დღეს ნასაუზმევს ფოსტალიონმა ნონას მოუტანა დეპეშების გროვა. საიდან და ვისგან არ არის ისინი? ლ. რუდენკო, ე. ბიკოვა, „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭო, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, ბაქოში გამართული XXIX ჩემპიონატის მონაწილენი, საქართველოს საჭადრაკო ფედერაცია და ბევრი სხვა ორგანიზაცია და პიროვნება ულოცავენ ნონას სასიხარულო წარმატებას. არის დეპეშები სრულიად უცნობი კეთილმოსურნეებისაგან საბჭოთა კავშირის მრავალი მხრიდან.

სალამოს გაიმართა ტურნირის დასკვნითი, XVII ტური. ნონა შეხვდა შოლე დე სილანს. პარტია დაიწყო ოთხი მხედრის დაცვით. ფრანგმა პასიურად გაითამაშა იგი და მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტმა უკეთესი პოზიცია მიიღო. მაგრამ რაკი მისთვის ტურნირი დამთავრებულია, 27-ე სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა ფრანგს.

კიდევ უფრო ადრე მსაჯებმა გააფორმეს ბორისენკოსა და გრესერის ყაიმზე შეთანხმება.

„დაუნდობელი" ბრძოლა მიმდინარეობს მესამე ადგილისათვის, რომელიც, ისევე როგორც მეორე ადგილი, იძლევა პრეტენდენტთა მომავალ ტურნირში მონაწილეობის პერსონალურ უფლებას. ამიტომ ყურადღების ცენტრში იყო ამ ადგილზე მოცილეთა — ზვორიკინას, ლაზარევიჩის, ზატულოვსკაიას, ნედელკოვიჩის, ნიკოლაუსა და კარაკაშნეს პარტიები.

ლაზარევიჩმა მძაფრად შეუტია რინდერს და დაამარცხა იგი. კარაკაშნემაც მოიგო ჰუნდსურენთან. ზვორიკინას პარტია კონარკოვსკასთან და ნიკოლაუს — ნედელკოვიჩთან დაუმთავრებელი დარჩა. ზვორიკინას ეტლი და ორი პაიკი აქვს ორ ფიგურაში, მაგრამ პოზიცია გაურკვეველია. ასეთივე მდგომარეობაშია შეწყვეტილი ნიკოლაუს პარტიაც.

ზატულოვსკაიამ შესანიშნავ სტილში დაამარცხა ჰეემსკერკი. პოლიქრონიადე უგებს ლეინს გადადებულ პარტიას.

25 ნოემბერს დილით მოხდება ყველა გადადებული პარტიის დამთავრება. ახლა კი სატურნირო ცხრილის პირველი ნახევარი ასე გამოიყურება: ნ. გაფრინდაშვილი — 13 ქულა, ვ. ბორისენკო — 11 ქულა, მ. ლაზარევიჩი, ტ. ზატულოვსკაია — 9,5 ქულა თვითეულს, კ. ზვორიკინა, ვ. ნედელკოვიჩი — 9 ქულა და თითო გადადებული პარტია თვითეულს, ლ. ვოლპერტს, ე. კარაკაშნეს — 9 ქულა თვითეულს, ა. ნიკოლაუს — 8,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

სალამოს მოხდება ტურნირის საზეიმო დახურვა.



Министерство связи СССР

ТЕЛЕГРАММА

13-05

Прием 22.12.38 № 391

Передал

ПИСЬМО ТЕЛЕГРАММА ТБИЛИСИ ЭЛБАКИДЗЕ 12

РЕДАКЦИЯ ГАЗЕТЫ ЛЕЛО

ТБИЛИСИ МСК 270/23 МОСКВЫ 270/18 51 23 1135 =

НОНА ГАПРИНДАШВИЛИ БЕЗУСЛОВНО ОЧЕНЬ СПОСОБНАЯ ШАХМАТИСТКА И ПОБЕДА ЕЕ В ЮГОСЛАВИИ ВПОЛНЕ ЗАСЛУЖЕННА = ОТ ДУШИ ПОЗДРАВЛЯЮ НОНУ С БОЛЬШИМ УСПЕХОМ = БЫКОВА — 1145

ნაკრების მეორე გამარჯვება

სანტ-იაგო. როგორც ცნობილია, სამხრეთ ამერიკაში ტურნეს ატარებს საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც 22 ნოემბერს სანტ-იაგოში შეხვდა ჩილის ნაკრებს.

თამაში მეტად დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. მასპინძლებმა დასაწყისში შეძლეს რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა. საბჭოთა გუნდის დაცვასა და მეკარე მასლაჩენკოს სრული დატვირთვით მოუხდათ მუშაობა. შემდგომში მდგომარეობა გათანაბრდა, ხოლო, ტაიმის დასასრულს ინიციატივა საბჭოთა ფეხბურთელთა მხარეს გადავიდა.

ერთადერთი ბურთი, რომელმაც მატჩის ბედი საბჭოთა ფეხბურთელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა, გატანილ იქნა 70-ე წუთზე ივანოვის მიერ მამიკინთან გათამაშებული კომბინაციის შემდეგ. საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 1:0.



სურათზე: ცხენბურთისა და ისინდის თამაშის მომენტები ეშერის (სოხუმი) იპოდრომზე.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის სწავლების საქმეში არსებითი ცვლილებები მოხდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებმა, კანონმა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების ღონისძიებებმა საბჭოთა უმაღლესი სკოლების წინაშე ახალი ამოცანები დააყენეს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

სადირექტივო ორგანოების აღნიშნული ისტორიული გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები შეიმუშავა და გაატარა, მათ შორის სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის დარგში.

ახალი ინსტრუქციის მიხედვით უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულ იქნა ფიზიკური აღზრდის სწავლება სპორტული განყოფილებების მიხედვით. ფიზიკური აღზრდა სავალდებულო გახდა I-IV კურსებზე კვირაში ორჯერადი მეცადინეობით 2-2 საათის რაოდენობით. გარდა ამისა, სპორტული დახელოვნების ჯგუფებისათვის მათი ფიზიკური მომზადების მიხედვით მეცადინეობა განისაზღვრა კვირაში 4-8 საათამდე. გარდა ამისა, სასწავლო დღის რეჟიმში შემოღებულ იქნა ფიზკულტწუთების ჩატარება, ხოლო სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში სავალდებულო გახდა დილის გამამხნევებელი ვარჯიშების ჩატარება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოსთან ერთად, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებები გაატარა. დაშვებულ იქნა სპეციალური ბრძანება და უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს მიეცათ მითითებები ახალი ინსტრუქციის შესაბამისად ფიზიკური აღზრდის სწავლების გარდაქმნის შესახებ.

1960-61 სასწავლო წელს სახელმწიფო კომიტეტმა და სპორტკავშირმა შეამოწმა ფიზიკური აღზრდის სწავლების მდგომარეობა ახალი ინსტრუქციის შესაბამისად თბილისის პუშკინის სახ. პედინსტიტუტში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ბათუმისა და სოხუმის პედინსტიტუტებში და მიღებულ იქნა გაერთიანებული დადგენილება ნაკლოვანი მხარეების გამოსასწორებლად.

1960-61 სასწავლო წელს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის კათედრების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზმა, ცალკეული უმაღლესი სასწავლებლების შემოწმებამ ცხადყო, რომ ფიზიკური აღზრდის სწავლების ახალი ფორმების შემოღებამ საგრძნობლად გააუმჯობესა როგორც სასწავლო პროცესი, ისე ფიზკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობა. შესამჩნევად გაიზარდა სპორტით მომეცადინეთა რიცხვი, მეტი რაოდენობით მზადდება ნიშნოსნები, თანრიგოსნები და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრები, უფრო აქტიური გახდა სტუდენტთა სპორტული კლუბების, საფაკულტეტო და საკურსო კოლექტივების მუშაობა. 2000-მდე კაცით გაიზარდა სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის" წევრთა რიცხვი, ფიზკულტურითა და სპორტით მომეცადინეთა რაოდენობამ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 50 პროცენტს მიაღწია. გაუმჯობესდა სტუდენტთა სპორტული გამაჯანსაღებელი ბანაკების მუშაობა.

ამაღლდა სტუდენტ-სპორტსმენების სპორტული მომზადების დონე. ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდნენ გამოჩენილი სპორტსმენები, რომლებმაც თავიანთი სპორტული მიღწევებით არაერთხელ ასახელეს დედასამშობლო. საკმარისია ითქვას, რომ XVII ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე 124 სტუდენტიდან, 11 თბილისის უმაღლესი სასწავლებლებიდან იყო.

სასწავლო-სპორტული მუშაობის საქმეში შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვთ ვ. ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს (რექტორი პროფ. ი. ბუაჩიძე, ფიზაღზრდის კათედრის გამგე მ. ცხვედაძე), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (რექტორი პროფ. ე. ხარაძე, ფიზაღზრდის კათედრის გამგე ქ. ზაუტაშვილი), გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს (რექტორი დოც. გ. ხარაული, ფიზაღზრდის კათედრის გამგე ი. ნემსაძე) და სხვ. მიუხედავად ამისა, უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების საქმეში ჯერ კიდევ აქვს სერიოზული ნაკლოვანი მხარეები. სტუდენტთა დიდი ნაწილი ჩაბმული არაა ფიზიკური კულტურით მეცადინეობაში, უმეტესობამ არ იცის ცურვა, ველოსიპედის ტარება, არა აქვს რბენის, ხტომისა და ტყორცნის ჩვევები. საკმარისია ითქვას, რომ გასულ სასწავლო წელს ფიზკულტურელთა საერთო რიცხვი საშუალოდ უდრიდა 48 პროცენტს. მათ შორის სახელმწიფო უნივერსიტეტში — 47 პროცენტს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — 47,3 პროცენტს, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში — 51 პროცენტს, პედინსტიტუტებიდან: სოხუმში — 53,6 პროცენტს, თბილისის პუშკინის სახელობისა — 57,3 პროცენტს, სტალინირში — 60 პროცენტს, გორში—65 პროცენტს, ბათუმში — 66 პროცენტს და ქუთაისის პედინსტიტუტში — 78 პროცენტს. როგორც ვხედავთ, მასობრიობის მხრივ უმაღლეს სასწავლებლებში მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

საერთოდ, უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს სპორტსმენ-თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადება.

საგრძნობლად დაბალია სტუდენტთა სპორტული მომზადების დონე. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა თელავის, სტალინირის, სოხუმისა და პუშკინის პედინსტიტუტებში. თუნდაც ის ფაქტი, რომ სტუდენტთა I რესპუბლიკურ თამაშებზე დაშვებული არ იქნენ რიგი პედინსტიტუტები, ხოლო დაშვებულთაგან უმეტესობამ დაბალი შედეგები აჩვენა, მეტყველებს იმაზე, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-სპორტული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების საქმეში არსებული ხარვეზები ნაკლები იქნებოდა, რომ უმაღლეს სასწავლებელთა რექტორატებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ერთობლივი ძალებით ეზრუნათ ზემდგომი სადირექტივო ორგანოების მითითებების შესრულებაზე.

ნაკლები ყურადღება ექცევა უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის კათედრების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

ამჟამად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ამოცანების წინაშე დგანან ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები. 1962 წლის ივლისში თბილისში ჩატარდება სტუდენტთა საკავშირო მესამე სპორტული თამაშები 19 სახეობაში. აღნიშნულ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქვეყნის 500-მდე უმაღლესი სასწავლებელი 6.000 სპორტსმენის რაოდენობით. ეს ღონისძიება ჩვენი რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში ბრძოლა მოუხდება სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ კოლექტივსაც, რომელიც გარდამავალი საკავშირო თასის ორგზის მფლობელია.

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ფიზიკური აღზრდის კათედრებმა და სპორტულმა კლუბებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ როგორც სასწავლო, ისე სპორტული მუშაობა, მწვრთნელ-მასწავლებლებმა ყოველდღიურად უნდა იბრძოლონ სტუდენტთა სპორტული მომზადების დონის ამაღლებისათვის.

თბილისის 62-ე საშუალო სკოლაში სპორტის სხვა სახეობებთან ერთად პოპულარობით სარგებლობს ველოსპორტი. ამ, ახლავე მორიგ მეცადინეობაზე ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი ნ. გოგილაშვილი მოსწავლეებს უხსნის ხარისხიანი ველოსიპედის ხიზკარიანი გადანაცვლების მეთოდებს.
ფოტო ვ. გოგაძისა.

ფეხბურთი

საქართველოს სსრ 1961 წლის პირველობის ზონებში გამარჯვებულ გუნდების ფინალური თამაშების ცხრილი

I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 22 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	14	11	2	1	36:11	24
„კახეთი" (გურჯაანი)	14	9	1	4	28:12	19
ადგ. მრეწ. სამმ. (თბილისი)	13	7	4	2	31:13	18
„განთიადი" (კასპი)	14	6	3	5	24:25	15
„შირაქი" (წითელწყარო)	14	5	4	5	16:20	14
„აბული" (ახალქალაქი)	13	3	3	7	26:44	9
„ქსანი" (ლენინგორი)	14	2	2	10	14:40	6
ავტო სარ. ქარხ. (გუდაუთა)	14	2	1	11	10:20	5

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სას. სამ. ინსტ. (თბილისი)	14	10	3	1	26:7	23
„განთიადი" (ლანჩხუთი)	14	10	2	2	26:10	22
„ტორპედო" (გაგრა)	13	7	3	3	22:11	17
„განთიადი" (ზუგდიდი)	14	6	3	5	18:24	15
გამამდ. ფ-კა (ტყვარჩელი)	14	5	2	7	21:24	12
ლენინის სახ. შახტი (ტყიბული)	13	4	2	7	22:25	10
ორთქ. ვაგ. შემკ. ქ-ნა (თბილისი)	14	3	1	10	7:34	7
„სპარტაკი" (ცხაკაია)	14	2	0	12	18:25	4

* * *

შედგა მორიგი თამაშები საქართველოს პირველობაზე ზონებში გამარჯვებულ გუნდებს შორის

„ქსანი" (ლენინგორი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი)—1:2, ორთქ. ვაგ. შემკ. ქარხ. (თბ.) — სას. სამ. ინსტ. (თბილისი) — 1:2, ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) — „განთიადი" (ზუგდიდი) — 3:3, „შირაქი" (წითელწყარო) — „ქსანი" (ლენინგორი) — 1:0, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „აბული" (ახალქალაქი) — 16:0, „კახეთი" (გურჯაანი) — ადგ. მრეწ. სამმ. (თბილისი) — 2:0, „ქსანი" (ლენინგორი) — „აბული" (ახალქალაქი) — 4:4, ადგ. მრეწ. სამმ. (თბილისი) — „კახეთი" (გურჯაანი) — 2:0, ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) — „განთიადი" (ლანჩხუთი) — 1:2.

მატჩი შედგება 14 პარტიისაგან

მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ქალთა შორის მოეწყო 1927 წელს. პირველი ადგილი მაშინ მოიპოვა ჩეხმა მოჭადრაკემ 21 წლის ვერა მენჩიკმა, რომელმაც ეს წოდება შეინარჩუნა 1930, 1931, 1933, 1935, 1937 და 1939 წლებში. ვ. მენჩიკი მეტად ძლიერი მოჭადრაკე იყო და წარმატებით თამაშობდა ვაჟთა ტურნირებშიც კი. რამსჰეტის საერთაშორისო ტურნირზე 1929 წელს მან II-III ადგილები გაიყო გროსმაისტერ ა. რუბინშტეინთან (პირველი ხ. კაპაბლანკა იყო). ვ. მენჩიკმა ორჯერ დაამარცხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ეივე, ხოლო გროსმაისტერ ს. ფლორთან ხამი პარტია ყაიმით დაამთავრა. 1944 წლის ივნისში ვ. მენჩიკი ტრაგიკულად დაიღუპა ლონდონზე საჰაერო თავდასხმის დროს.

1949 წელს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ გამართა მსოფლიო პირველობა, სადაც მიიწვია 16 უძლიერესი მოჭადრაკე 12 ქვეყნიდან. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა საბჭოთა ოსტატმა ლ. რუდენკომ. აქედან დასაბამი მიეცა მსოფლიო პირველობათა ჩატარების ახალ სისტემას. სამ წელიწადში ერთხელ მსოფლიო ჩემპიონი იცავს თავის ტიტულს მატჩში. პრეტენდენტის გამოსავლინებლად კი იმართება ზონალური ტურნირები და შემდეგ პრეტენდენტთა ტურნირი.

პრეტენდენტთა 1952 წლის ტურნირში გაიმარჯვა ე. ბიკოვამ, რომელმაც დაამარცხა ლ. რუდენკო და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. პრეტენდენტთა 1955 წლის ტურნირში, რომელიც მოსკოვში ჩატარდა, გაიმარჯვა ო. რუბცოვამ. 1956 წელს მოეწყო მატჩ-ტურნირი ე. ბიკოვას, ლ. რუდენკოსა და ო. რუბცოვას შორის. ლ. რუდენკომ მატჩ-რევანშის თამაშს ამ ტურნირში მონაწილეობა არჩია. მსოფლიო ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ო. რუბცოვამ. მაგრამ მომდევნო წელს ე. ბიკოვამ დაიბრუნა დაკარგული ტიტული. პრეტენდენტთა 1958 წლის ტურნირში, რომელიც პლოვდივში (ბულგარეთი) მოეწყო, პირველი ადგილი დაიკავა კ. ზგორიკინამ. 1959 წლის შემოდგომაზე იგი შეხვდა ე. ბიკოვას. მსოფლიო ჩემპიონმა შეინარჩუნა ტიტული.

ახლა მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტის უფლება მოიპოვა 20 წლის ნ. გაფრინდაშვილმა. მისი მატჩი ე. ბიკოვასთან 12 ბალვა ამჟამად (1 წლისა) გაგრძელდა 1962 წლის პარტიაში. [illegible] თამაშდება 14 პარტია. [illegible] ჩემპიონის წოდება პრეტენდენტს მიენიჭება მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში. ე. ბიკოვას თავისი ტიტულის შესანარჩუნებლად ყოფნის მატჩის ყაიმით დამთავრება. დამარცხების შემთხვევაში მას შეუძლია 1963 წელს იბრძოლოს მატჩ-რევანშში ტიტულის დაბრუნებისათვის.





ᲓᲘᲓᲘ ხიხარული მოუტანა ნონა გაფრინდაშვილმა ჩვენს სპორტულ საზოგადოებრიობას ბრწყინვალე გამარჯვებით იუგოსლავიაში. მან შესანიშნავად ჩაატარა ტურნირი და ამჟამად მსოფლიო ჩემპიონის სახელის აღიარებული პრეტენდენტია.

ახლა, როცა გონების თვალით გადავხედავთ ნ. გაფრინდაშვილის ხარტულ ბიოგრაფიას, ვრწმუნდებით მის უჩვეულო ნიჭიერებაში. სპორტის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ იგი ზუგდიდის მკვიდრია, ჭადრაკის თამაში ისწავლა 5 წლის ასაკში, 11 წლის გოგონამ პირველად მიიღო მონაწილეობა ოფიციალურ შეჯიბრებაში, 13 წლისა გადმოვიდა თბილისში და მწვრთნელის ვ. ქარსელაძის მუყაითი შრომით მხნედ შედგა ფეხი დიდ სარბიელზე. შემდგომში ოსტატ მ. შიშოვის მწვრთნელობის პერიოდში მან პირველმა ქართველ მოჭადრაკე ქალთა შორის მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება. ნ. გაფრინდაშვილი უაღრესად შრომისმოყვარე, ენერგიული მოჭადრაკეა.

მაგრამ ბევრისათვის ნ. გაფრინდაშვილის შემოქმედების ზოგიერთი საკითხი უცნობია, ამის შესახებ პრესაშიც არ თქმულა რაიმე. ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება გავაცნოთ იხინი მკითხველებს.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ, როგორც ხარკეში, ისე ჩანს მოჭადრაკის ბუნება, ხასიათი, სტილი. ყოველ მოჭადრაკეს გააჩნია თავისი სტილი, სტრატეგიისა თუ ტაქტიკის საკითხებისადმი მისთვის დამახასიათებელი მიდგომა. დიდი მოჭადრაკე თავიდანვე განირჩევა სხვებისაგან თავისი საჭადრაკო კრედოთი. რაც უფრო ერუდირებული ხდება იგი, მისი თამაშის სტილიც უფრო გამოკვეთილ ფორმებს დებულობს. ყველაფერი ეს ითქმის ნ. გაფრინდაშვილზეც.

საჭადრაკო სარბიელზე გამოჩენისთანავე ნონამ სპეციალისტების უურადღება მიიქცია კომბინაციურ პოზიციებში გარკვევის გასაოცარი უნარით. იგი ოლად პოულობდა კომბინაციათა გასაღებს და, რაც მთავარია, ძალდაუტანებლად და ხწრაფად ერკვეოდა ვარიანტებში. ვ. ქარსელაძე და შემდეგ მ. შიშოვი ყოველნაირად უწყობდნენ ხელს მისი ამ ძლიერი თვისების ხრულყოფას. კომბინაციური თამაში გულისხმობს ტაქტიკურ ბრძოლას, მაგრამ თავისთავად კომბინაცია არ წარმოიშვება პოზიციური ჭიდილის გარეშე. ამიტომ ოსტატის წოდების მოპოვების შემდეგ ნ. გაფრინდაშვილი გულმოდგინედ მუშაობდა პოზიციური თამაშის საიდუმლოებათა ჩაწვდომისათვის.

ნურავის უკვირს, რომ ნონას ხიბლავს მ. ტალის თამაშის სტილი, მასში იგი ხედავს ნათესაურს, ახლობელს ჭადრაკის საკუთარი გაგებისათვის. ამიტომაც იგი თავს „ტალისტად“ თვლის.

მაგონდება ერთი ხაუბარი ნ. გაფრინდაშვილთან მ. ბოტვინიკის თბილისში ყოფნის შემდეგ. მას ვუამბე მსოფლიო ჩემპიონის შეხედულების შესახებ მ. ტალის სტილზე. „მ. ტალი იმპროვიზაციული სტილის მოჭადრაკეა, — ამბობდა მ. ბოტვინიკი. — ასეთ სტილს არ შეიძლება ჰქონდეს მყარი წარმატება ჩვენს დროში, როცა ჭადრაკის შესწავლა მეცნიერულ ნიადაგზე დგას. ამიტომ ამის უგულვებელყოფას აუცილებლად მოსდევს ის, რაც დაემართა მ. ტალს მატჩ-რევანშში“.

— არ შემიძლია დავეთანხმო ბოტვინიკს, — მიპასუხა ნონამ. — მ. ტალის წაგების მიზეზები სხვაგან უნდა ვეძებოთ. მე ღრმად მწამს კომბინაციური თამაშის, იმპროვიზაციისა. მაგრამ ამით არ ვუარყოფ ჭადრაკის შესწავლის მეცნიერულ გზებს. ამის გარეშე, ალბათ, წარმოუდგენელიცაა დებიუტებისა და ენდშპილების დაუფლება.

მსოფლიო ჩემპიონი ე. ბიკოვა პოზიციური ხტილის მოჭადრაკეა. იგი დგას მ. ბოტვინიკის პოზიციებზე. მას იტაცებს ხანგრძლივი, ზოგჯერ დამღლელი ბრძოლა, მაგრამ წინასწარ შესწავლილი, დაგეგმილი. ამიტომ ე. ბიკოვა-ნ. გაფრინდაშვილის მატჩი იქნება ორი განსხვავებული მიმდინარეობის პრინციპული ბრძოლა.



ᲫᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ მოჭადრაკე წარმოუდგენელია მებრძოლის ხასიათისა. ჩვენების გარეშე. თითქმის ყველა დიდი მოჭადრაკე „რკინის“ ნერვებიანი იყო. ამ თვისების გამომუშავება თუმცა შეიძლება, მაგრამ საკმაოდ ძნელია. ბუნებას კი ნ. გაფრინდაშვილისათვის იგი უხვად მიუნიჭებია. მაგრამ განა კმარა მხოლოდ ეს თვისება? სატურნირო შებრძოლს ჭირდება ძალთა მობილიზების უნარი, ხალი გონება, მტკიცე ნერვები. ყველაფერი ეს აქვს ნ. გაფრინდაშვილს.

შეიძლება ბევრი შემთხვევა გავიხსენოთ, სადაც ნონამ გამოამეღავნა ეს თვისებები. საკმარისია დავახელოთ თუნდაც პრეტენდენტთა ტურნირში მისი შეხვედრა მ. ლაზარევიჩთან. ამ პარტიაში უნდა გარკვეულიყო ერთპიროვნული ლიდერი. მაშინ, როცა იუგოსლაველი მოჭადრაკე ღელავდა, ცდილობდა მაქსიმალურად დაეხვენა, ნონა თამაშზე გამოცხადდა ჩვეულებრივად, როგორც ყველა პარტიაზე, თამაშიც უშიშრად წარმართა, თითქოს ეს პარტია არაფერს არ წყვეტდა. იგი დარწმუნებული იყო თავის ძალაში, თავისი კომბინაციის სიმახვილეში. ამან განაპირობა კიდეც მისი მნიშვნელოვანი გამარჯვება.

ხასიათის სიმტკიცე, რწმენა საკუთარ ძალებში, სიდინჯე ყოველთვის იყო ნ. გაფრინდაშვილის წარმატების საწინდარი.

— ბრონშტეინი ძალზე ძუნწია ქნებაში, — მითხრა ბოტვინიკმა ნონაზე საუბრის დროს. — მაგრამ გაფრინდაშვილზე აღფრთოვანებით მიყვებოდა, რომ მას მსოფლიო ჩემპიონობისათვის საჭირო მონაცემები აქვს. მე არ შემიძლია არ დავუჭერო მას.

ალბათ, იკითხავთ: რა ძალით თამაშობდა ნონა ბრონშტეინთან?

ოსტატის ძალით!

ზოგი სკეპტიკოსი გამომედავება: ამა სერიოზული პარტიები ეთამაშა, რა გამოუვიდოდა? 1959 წელს ნ. გაფრინდაშვილმა მონაწილეობა მიიღო ხაჭართველოს ვაჟთა პირველობაში, სადაც მას თამაში მოუხდა ხაკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან. მართალია, ნონამ ვერ დაიკავა სახარბიელო ადგილი, სამაგიეროდ ხალხთა სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრებთან შესანიშნავ შედეგს მიაღწია. მან დაამარცხა ბლაგიძე და ყაიმით დაამთავრა შეხვედრები გურგენიძესთან, ბუსლაევთან, შიშოვთან, გიორგაძესთან.

ᲧᲐᲠᲐᲕᲗᲘᲡᲔᲚ გამიგონია ლაპარაკი საერთოდ ქალთა და კერძოდ ნ. გაფრინდაშვილის ძალის შესახებ ვაჟებთან შედარებით: ქალები ვერ აჯობებენ პირველთანრიგოსან ვაჟსო. რასაკვირველია, ასეთი შეხედულება მცდარია. ვისაც არ უთამაშია ნამდვილ მოჭადრაკე ქალთან, ალბათ, ამაში არ დაგვეთანხმება. მაგრამ მოვიყვან ორ მაგალითს ნ. გაფრინდაშვილის პრაქტიკიდან.

საბჭოთა კავშირის XXVI ჩემპიონატში, რომელიც თბილისში გაიმართა, ნ. გაფრინდაშვილს ელვისებური (5-წუთიანი) პარტიები ეთამაშა გროსმაისტერი დ. ბრონშტეინი. თამაში ძალზე შეუპოვრად მიმდინარეობდა მას შემდეგ, როცა ნონამ გროსმაისტერს დასაწყისში რამდენიმე პარტია მოუგო. დ. ბრონშტეინი ელვისებური თამაშის ცნობილი ოსტატია და მაინც დამარცხდა ანგარიშით 6:8. მაშინ დ. ბრონშტეინს არ დაუმალავს თავისი აღტაცება, რის შესახებ მ. ბოტვინიკსაც უამბო.

იუგოსლავია,

ვრნიაჩკა - ბანია

ნ. გაფრინდაშვილს

თბილისის კომკავშირელეგი და ახალგაზრდეგბი გულწრფელად გილოცავთ ლენინური კომკავშირის აღზრდილს დიდ წარმატებას, გისურვებთ შემდგომ წინსვლას საჭადრაკო მწვერვალის დასაპყროგლად.

კომკავშირის თბილისის კომიტეტი

თ. გიორგაძე



გზა ლეიპციგისაკენ

როგორც ცნობილია, მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატი ცურვაში შედგება ლეიპციგში (გდრ). კონტინენტის უძლიერეს მოცურავეთა გზა ლეიპციგში ხანგრძლივი და შეუპოვარი წვრთნის გზაა. მაგრამ არიან სპორტსმენები, რომლებმაც ლეიპციგის აუზში მოსახვედრად უნდა დაძლიონ არა მარტო შესარჩევი შეჯიბრებები, არამედ პოლიტიკური ბარიერებიც. ყოველად შეუწყნარებელ როლს თამაშობენ ამ საკითხში შვეიცარიის სპორტული კავშირის ხელმძღვანელები. ისინი კარგა ხანია იბრძვიან იმისათვის, რომ შვეიცარელებმა ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტონ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სპორტსმენებთან. მოგაგონებთ, რომ 1956 წელს შვეიცარიის სპორტსმენები მსხვერპლად შეეწირენ ანტისაბჭოთა კომპანიას და იმის გამო, რომ ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობდნენ, არ გაემგზავრნენ მელბურნში. ჯერ კიდევ მაშინ მსოფლიო სპორტული საზოგადოებრიობის მიერ მკაცრად იქნა დაგმობილი შვეიცარიის სპორტის ლიდერთა პროვოკაციული პოლიტიკა. მიუხედავად ამისა, ფაქტები მეტყველებენ, რომ პროვოკატორები მაინც არ ცხრებიან.

ამ დღეებში შედგა შვეიცარიის ცურვის ფედერაციის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ 42 სპორტული გაერთიანების წარმომადგენლები. სანამ შეკრებილნი განიხილავდნენ საშინაო საკითხებს, დისკუსია საკმაოდ უფერულად მიმდინარეობდა. „მხოლოდ შვეიცარიის სპორტსმენთა ლეიპციგში ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების საკითხმა გამოიწვია აზრთა მწვავე წინააღმდეგობანი — ნათქვამია ფედერაციის კრების ანგარიშში. საქმე იმაშია, რომ შვეიცარიის სპორტული კავშირის ხელმძღვანელები თავიანთი დასავლეთგერმანელი მეგობრების საამებლად მოითხოვდნენ უარი ეთქვათ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ მისი ჩატარება გდრ-ს ტერიტორიაზეა გადაწყვეტილი.

სპორტული პოლიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ მათი წინადადება ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გავიდოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. რიგი დელეგატები მკაცრად გამოვიდნენ დისკრიმინაციისა და ბოიკოტის პოლიტიკის წინააღმდეგ. კენჭისყრის შემდეგ გამოირკვა, რომ 33 კაცი მომხრე იყო ჩემპიონატში მონაწილეობისა, ხოლო 34 კი წინააღმდეგი. ასეთი მცირე უმრავლესობის გამო გადაწყდა მოეწყოთ თვითეული დელეგატის გამოკითხვა. ~~გამოკითხვის~~ შემდეგ დადგინდა, რომ 37 კაცი ~~ჩემპ~~ ჩემპიონატზე გამგზავრების მომხრეა, 34 კი — წინააღმდეგი.

თითქმის უკვე გარკვეული იყო ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი, მაგრამ...

ფედერაციის სხდომის ცნობის ბოლოში შემდეგი ფრაზაა: „სპორტული კავშირის ცენტრალურ მმართველობას კვლავ მიაჩნია, რომ მას კიდევ რჩება საშუალებები უარი თქვას ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობაზე პოლიტიკური მიზეზების გამო“. ამგვარად, შვეიცარელ მოცურავეებს ლეიპციგის გზაზე კვლავ ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდებათ.

მოსკოვში ინერგება რეგბი. ჩამოყალიბებულია გუნდები და ტარდება პირველობები.

სურათზე: რეგბისტი ტყორცნის ბურთს.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

„ბურევესტნიკი“

მინსკში ჩატარდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობდნენ: მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სხვა რესპუბლიკების ნაკრები გუნდები.

ხუთი დღის დაძაბული შეხვედრების შემდეგ საქართველოს „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებმა [illegible] ადგილი და მეორე ადგილზე [illegible] მოსულ ბელორუსიის ნაკრებს [illegible] წრეს 15 ქულით. მესამე ადგილ[illegible] არიან მოსკოველი სპორტსმენები.

პირად პირველობაში გამარჯვება მიაღწიეს: ქვემსუბუქ წონაში — მსოფლიო ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა ვლადიმერ რუბაშვილმა, რომელმ[illegible] 10 შეხვედრა ჩაატარა და ყველა წინ[illegible]ნდად მოიგო, რასაც ხულ მოანდომ[illegible] 15 წუთი და 35 წამი.

მსუბუქ წონაში გაიმარჯვა ბერ[illegible]შვილმა, ქვესაშუალო წონაში—ზ. სა[illegible]თარაძემ. მეორე ადგილებზე გამოვ[illegible]დნენ მძიმე წონის მოჭიდავე ზ. ჯორ[illegible]ბენაძე და ნ. ანთიძე (ქვემძიმე წონა). მესამე ადგილები წილად ხვდათ ვ. კოშკაძეს და კ. ვართანოვს. პარალელურად მიმდინარე უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლაში მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენთა გუნდი.

საქართველოს გუნდი დაჯილდოვდა გარდამავალი თასით, ხოლო პირველ ადგილზე გამოსული სპორტსმენები — ფასიანი საჩუქრებით.

ვ. დავითაშვილი

ხუთი პარტია ყაიმით დამთავრდა, მიუხედავად იმისა, რომ ვ. შჩეგოლევი ყოველ შეხვედრაში დიდი გამომგონებლობით ართულებდა თამაშს და ეძებდა იერიშის გზებს.

VIII პარტიის შემდეგ წინაა ი. კუპერმანი — 4,5:3,5.

კიევში დამთავრდა ნავარაუდევი ხუთი პარტიის გათამაშება, რის შემდეგ გროსმაისტერები განაგრძობენ ბრძოლას მინსკში.

• • •

სურათზე: ვ. შჩეგოლევი და ი. კუპერმანი.

მ. ეგენის „დანაშაული“

შაიბიანი ჰოკეის გფრ-ს კავშირმა გაანთავისუფლა ერთუნული ნაკრების მწვრთნელი მ. ეგენი. განთავისუფლების მიზეზების ოფიციალური ფორმულირება ერთობ ბუნდოვანია: „მ. ეგენმ ვერ შეძლო წვრთნის იმ მეთოდების დაუფლება, რომელიც რეკომენდებულია გფრ-ს ოლიმპიური კომიტეტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მიერ“. უფრო გულახდილი აღიარება აქვს დასავლეთგერმანული „შპორტბუნდის“ პრეზიდენტს ვ. დაუმეს: „ეგენი ის კაცი არაა, რომელიც ჩვენ გვჭირდება“. მ. ეგენი 99-ჯერ თამაშობდა ეროვნულ ნაკრებში და ნაკრებს რამდენიმე წელს ზედიზედ წვრთნიდა. „მან შესანიშნავად იცის, როგორ მოამზადოს მოთამაშე ტექნიკურად და ფსიქოლოგიურად. მიზეზი, თითქოს მან მუშაობა არ იცოდეს, სწორი არაა“, — წერს გერმანული გაზეთი „იუნგე ველტი“.

რაშია საქმე? თურმე, მ. ეგენი წინ აღუდგა დაუმეს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ უარი ეთქვათ ევროპის ჩემპიონატზე ექნეკაში გდრ-ს სპორტსმენებთან თამაშზე და შემდეგშიც არ უღალატა თავის პოზიციას. იგი გამოვიდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან სპორტული ურთიერთობის სასარგებლოდ, გაიალაშქრა „შპორტბუნდის“ ხელმძღვანელობის პროვოკაციული პოლიტიკის წინააღმდეგ, „მე მინდოდა გამომეთქვა იმედი, — თქვა მ. ეგენმა, — რომ გფრ-სა და გდრ-ს სპორტულ კავშირებს შორის სინდისიერი მოლაპარაკების შედეგად აღარ გამეორდება ის, რაც ჟენევაში მოხდა. უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა შევასრულოთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სპორტსმენთა მოთხოვნა სპორტულ ურთიერთობათა განმტკიცებასა და განვითარებაზე“.

მ. ეგენის წასვლა უკვალოდ არ დარჩენილა. ნაკრები გუნდი დაწლის გზაზე მიექანება. დასავლეთ გერმანიის უძლიერესმა კლუბებმა უარი განაცხადეს ნაკრებს თავიანთი მოთამაშეები მისცენ. როგორც დასავლეთგერმანული გაზეთი „ბილდცეიტუნგი“ წერს: „გფრ-ს შაიბიან ჰოკეის არნახული კრიზისი ემუქრება“.

ფრენბურთის გადეებთან

ბუქარესტი. რუსეთის ფედერაციის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდები სტუმრად იმყოფებიან რუმინეთში. როგორც ქალთა ისე ვაჟთა შეხვედრებში გაიმარჯვეს რუმინელებმა: ვაჟებმა ანგარიშით 3:0, ხოლო ქალებმა — 3:1.

ლეიპციგი. აქ შედგა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და უნგრეთის ფრენბურთელ ქალთა გუნდების მატჩი. უნგრეთის ნაკრები დამარცხდა ანგარიშით 2:3.



ესპანეთის ნაკრები ფინალში

გამოირკვა ფეხბურთში მსოფლიოს VII ჩემპიონატის ფინალური გათამაშების კიდევ ერთი მონაწილე. ესაა ესპანეთის ნაკრები.

ფინალში გასვლისათვის იბრძოდნენ ესპანეთისა და მაროკოს გუნდები. პირველი მატჩი მაროკოში ესპანელებმა მოიგეს მინიმალური ანგარიშით — 1:0. 23 ნოემბერს მეორე მატჩი შედგა ესპანეთში, სადაც მასპინძლებმა კვლავ მიაღწიეს გამარჯვებას და გავიდნენ ფინალში (3:2).

რედაქტორი ი. უგულავა

25—26 ნოემბერი

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

მეგობრობის მატჩი

მძლეოსნოგაში

მონაწილეობენ: კიევის, ხარკოვის, ვოლგოგრადის და თბილისის ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 25 ნოემბერს 14 ს. 30 წ. 26 ნოემბერს დილის 10 ს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01216